

899.962-1 (092) [ლით.]

ს-969

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შოთა რუსთაველის  
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

იოსებ ოსმანის ძე სანიკიძე

მემედ აბაშიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური  
მემკვიდრეობა

10. 01. 01 — ქართული ლიტერატურა

ა გ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

— ბათუმი —

1998 წ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შოთა რუსთაველის  
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

იოსებ ოსმანის ძე სანიკიძე

მემედ აბაშიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური  
მემკვიდრეობა

10. 01. 01 — ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

— ბათუმი —

1998 წ.

ნაშრომი შესრულებულია ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული  
ლიტერატურის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ შარაძე – საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის წევრკორესპონდენტი.

ექსპერტი: ლეიზა ბონკოვა-ხვიჩია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი.

ოფიციალური ობიექტები:

1. დავით თევზაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. იუზა ვეგენიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური  
უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შესდგება 1998 წლის "27" ანგვის 12<sup>00</sup> საათზე  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის  
სადისერტაციო საბჭოს (P 10.01.CN3) სხდომაზე.


მისამართი: თბილისი 380008, კოსტავას ქ. №5

დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის "25" აგვისტოს  
სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი, ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორი *ე. არბიუკოვი* / ა. არაბული /



-8791-  
-1678

ნაშრომის ზოგადი დანახიათება

თემის აქტუალობა. X/X საუკუნის მიწურულსა და XX  
საუკუნის დასაწყისში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე  
გამოვიდა მემედ აბაშიძე. ის იყო პირველი მწერალი პუბლიცისტი  
საქართველოს იმ უძველესი მხრიდან, მისი განუყოფელი კუთხიდან,  
აქარიდან, რომელიც ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ  
რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემოუერთდა საქართველოს.  
მემედ აბაშიძე პირველი შეეცადა თავისი წერილებით, სტატიებით,  
გამოსვლებით ეჩვენებინა სრულიად საქართველოსათვის, რომ  
ახლად შემოერთებულ „სამუსლიმანო საქართველოდ“ წოდებულ  
სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები,  
მიუხედავად მუსლიმანური რელიგიის აღმსარებლობისა, ქართული  
სულით, ქართული ადათ-წესით, სამშობლო ქვეყნის ერთიანობის  
სიყვარულითა და ერთგულებით ცხოვრობენ.

ნაშრომში მოცემულია ცდა, რათა ახლებურად იქნას  
გააზრებული მემედ აბაშიძის ლიტერატურული და პუბლიცისტური  
მოღვაწეობა, დასაბუთებულია, რომ მემედ აბაშიძის ფართო  
საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და პუბლიცისტურმა ნააზრევმა  
უდიდესი როლი შეასრულა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის  
ეროვნული გათვითცნობიერებისა და გამოფხიზლების საქმეში,  
რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ საბედისწერო ჟამს,  
როდესაც სამშობლო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი  
წყდებოდა და ფარად და მანგილად აღმართული მემედ აბაშიძე  
გააზრებული, მიზანმიმართული, შეუდრეკელი, მანგილი, ფხიზელი  
სიტყვითა და საქმით არ აძლედა ვასაქანს საქართველოს